<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.07.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.04.001.016021) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა

1. ეკონომიკის გრძელვადიანი და მდგრადი ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის და მაკროეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დადგინდეს შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:
   ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 3%;
   ბ) მთავრობის ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 60%.

2. ამ კანონის მიზნებისათვის:
   ა) მთავრობის ვალის მოიცავს:
   ა.ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა
   ა.ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის “ბ” პუნქტით გათვალისწინებულ ზღვარში გაითვალისწინება „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება.

4. საქართველოს კანონმდელობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური კანონის პროექტის შემუშავება, დამტკიცება და შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმგვარად, რომ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები შეესაბამებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს, როგორც გეგმიური ისე შესრულების მაჩვენებლების შემთხვევაში.

5. საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტისათვის წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისას წარადგენს ინფორმაციას ამ კანონით დადგენილ ზღვრებთან ფისკალური პარამეტრების შესაბამისობის თაობაზე.

6. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდგომ ანგარიშგებისას, ამ მუხლით გათვალისწინებული ზღვრული მაჩვენებლების დარღვევის შემთხვევაში (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარუდგენს:
   ა) ინფორმაციას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ;
   ბ) ინფორმაციას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და შესაბამისად მისი გავლენის შესახებ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებზე, მათი ამ კანონით დადგენილ ზღვრულ მოცულობებთან შესაბამისობის მიმართულებით.

7. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის, ამ მუხლით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია:
   ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;
   ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში - თუ სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ზედიზედ ბოლო ორი კვარტლის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტლებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს ასევე წარუდგენს გეგმას ამ კანონით განსაზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების თაობაზე. პარამეტრებში დაბრუნების გეგმის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.".

მუხლი 2. საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების მიზნით, 2025 წლამდე ერთჯერადად, არაუმეტეს 3 წლის ვადით შესაძლებელია ერთიანი სახელიმწიფო ბიუჯეტი დაიგეგმოს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულზე უფრო მაღალი საბიუჯეტო დეფიციტით.

მუხლი 3. ეს კანონი გამოქვეყნდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**